

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის



გზამკვლევი
პროფესიული პროგრამების
სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა
დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

ბათუმი

2019

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

სარჩევი

1. შესავალი	4
2. პროფესიული სტუდენტების დასაქმებისა და კარიერული ზრდის მონიტორინგის მიზანი.....	7
3. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ხელშეწყობის კუთხით საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.....	7
3.1 .არსებულ და პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა.....	8
3.2 . თანამშრომლობა აღმასრულებელი ხელისუფლების/თვითმმართველობის ორგანოებთან, მათ შორის შრომისა და დასაქმების დეპარტამენტებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან, პროფესიულკავშირებთან.....	10
3.3 . მეთოდური და კვლევითი მუშაობა.....	10
3.4 .კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი.....	13
4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის მაჩვენებლებისა და ინდიკატორების ფორმირება.....	15

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

ანოტაცია

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების განვითარების შესაბამისად იცვლება ადამიანისათვის კარიერის ცნება. ამ ცვლილებების კვალდაკვალ, ის სცდება თავის საზღვრებს. ადამიანი, რომელსაც სურს, რომ მოთხოვნადი იყოს სამუშაოსათვის, იძულებულია იყოს მოქნილი და ინოვაციური, მუდმივად ეძებდეს ახალ გამოწვევებს სამუშაოსა და სწავლის სფეროებში. მართლაც, არც ერთ ხელისუფლებას და ორგანიზაციას არ შეუძლია უზრუნველყონ უსაფრთხო კარიერა ადამიანებისათვის, არამედ, შეუძლია მოგვცეს განათლების შესაძლებლობა; ორგანიზაციები გვთავაზობს მრავალფეროვან ვაკანსიებს, მაგრამ ადამიანმა თვითონ უნდა აირჩიოს განათლება და სამუშაოს ის ტიპი, რისი გაკეთებაც სურს და რის გაკეთებასაც შესძლებს ცხოვრებაში. სწორედ ამიტომ, განსაკუთრებული მოთხოვნები გაჩნდა განათლების სისტემის მიმართ, რომლის თანახმადაც, ადამიანს ნებისმიერ ასაკში მარტივად უნდა შეეძლოს მისთვის საჭირო კვალიფიკაციის ან გადამზადების მიღება მისთვის ხელსაყრელ დროს.

ზოგადად, პროფესიული განვითარება, როგორც მრავალრიცხოვანმა კვლევებმა დაადგინა, კომპლექსური პროცესია, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული სამი საფეხურისაგან შედგება. ესენია:

- ✚ საჭიროებების დადგენა;
- ✚ პროფესიული განვითარების კონკრეტული პროგრამების/აქტივობების მომზადება;
- ✚ მიღებული შედეგების მუდმივი შეფასება-განვითარება.

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

1. შესავალი

მსოფლიო დღეს უფრო სწრაფად იცვლება, ვიდრე ეს ხდებოდა ახლო წარსულში. მუდმივად ვითარდება ცხოვრების ყველა სფერო, ასევე სწრაფად იცვლება ადამიანი და მისი საჭიროებები, ცოდნა, უნარი, მიდგომები, ფასეულობები. ამ ცვლილებების ერთიანობა ცვლის პიროვნების კარიერულ შესაძლებლობებსა და მოთხოვნილებებს. იცვლება სამუშაოს ხასიათი და მოთხოვნაც თამანშრომლებზე, რადგან კონკრეტული საქმე და პროფესია, დროის მიხედვით, ხშირად ხდება ნაკლებად მოთხოვნადი, ან საერთოდ უსარგებლო ბაზრისათვის.

წარსულში ყველაზე პრესტიჟულად ჩათვლილი პროფესიები დღეს სულ სხვა პროფესიებმა ჩაანაცვლა, ან ბაზარმა სულ სხვა მოთხოვნები და სტანდარტები დაუწესა მათ. შესაბამისად, ადამიანისათვის კარიერის ცნებაც იცვლება; ამ ცვლილებების კვალდაკვალ, ის სცდება თავის საზღვრებს. ადამიანი, რომელსაც სურს, რომ მოთხოვნადი იყოს სამუშაოსათვის, იძულებულია იყოს მოქნილი და ინოვაციური, მუდმივად ეძებდეს ახალ გამოწვევებს სამუშაოსა და სწავლის სფეროებში. ამ გლობალური ხასიათის ცვლილებებს, რომელიც თავად გლობალიზაციის პროცესის თანმდევა, ვერავინ აუვლის გვერდს. თუმცა, უფრო უპრიანია, თუ ვისაუბრებთ ამ მოვლენათა არა პრევენციაზე, არამედ ადამიანთა ადაპტირებაზე, რომელიც შესაძლო მავნე შედეგების შესუსტებაზე იქნება ორიენტირებული. ის პერმანენტული განათლებით უნდა განხორციელდეს.

ადამიანისათვის კარიერაში ცვლილებების საჭიროება სხვა, მრავალი ფაქტორით შეიძლება იყოს გამოწვეული; პროცესების პერმანენტული შესწავლისას გამოიკვეთა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორებიცაა:

- ✚ გლობალური კონკურენცია შრომის ბაზარზე;
- ✚ მომსახურების სფეროს განვითარება;
- ✚ დროებით დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა;
- ✚ თვითდასაქმებულ პირთა რაოდენობის ზრდა.

ბუნებრივია, რომ ვერც ერთი ქვეყნის განათლების სისტემა ვერ ასცდა ამ საკითხის პრიორიტეტულ მიმართულებად აღიარებას; ხოლო, ბოლონიის პროცესმა გარდამტეხი ცვლილებები შეიტანა განათლების სფეროში, მათ შორის საქართველოს განათლების სისტემაში.

ბათუმის სამედიცინო აკადემია

გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

სტუდენტთა ცნობიერების შესწავლას, შეცვლას, განვითარებასა და მართვას ეხება ყველა ეს საკითხი ორიენტირებულია ერთ მიზანზე: სტუდენტმა სწორად დაგეგმოს და განახორციელოს საკუთარი საგანმანათლებლო აქტივობები, რომელიც, სამომავლოდ საზოგადოებაში, პროფესიულ გარემოში საკუთარი თავის რეალიზების საშუალებას მისცემს.

წარმატებულობის ერთერთი ძირითადი ინდიკატორი სწორედ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელია, ეს პროცესები ცხოვრების ძირითად აქტივობად უნდა განვიხილოთ. თუ სტუდენტთა კარიერული დაგეგმვისა და განვითარების პრობლემატიკას და მათი დასაქმებისათვის აუცილებელი ზოგად-ტრანსფერული კომპეტენციებით აღჭურვას გავითვალისწინებთ, მაშინ სტუდენტი, უშუალოდ სწავლის დაწყებიდანვე დაიწყებს ჯანსაღ ფიქრს საკუთარ კარიერის დაგეგმვასა და განვითარებაზე.

სტიქიური, არასისტემატური, ერთჯერადი აქტივობები ადამიანური რესურსების ფუჭი ხარჯვაა და რისკის ქვეშ აყენებს, ან არასწორი მიმართულებით წარმართავს მის სამომავლო განვითარებას. ის შეიძლება მუდმივად გამდიდრდეს და დაკონკრეტდეს სტუდენტთა საჭიროებების მიხედვით.

აქ აუცილებელია განვსაზღვროთ სტუდენტის აზროვნებისა და მიდგომების შეცვლის ისეთი ეფექტური სტრატეგიები, რომლებიც მის პიროვნულ სვლას საკუთარ კარიერულ კიბეზე სისტემურობას შესძენს და წარმატებულს გახდის.

ესენი შეიძლება იყოს:

- ✚ უკეთესად შეიცნონ საკუთარი თავი, რათა განსაზღვრონ საკუთარი ინტერესები, ადგილი და რეალური შესაძლებლობები კარიერის დასაწყისისათვის;
- ✚ შეისწავლონ დასაქმებისა და განათლების სამყარო, რათა სწორად შეარჩიონ სამსახური;
- ✚ სწორად დაგეგმონ და განახორციელონ საკუთარი პროფესიული ზრდა;
- ✚ რეალისტური თვითშეფასების გზით აწარმოონ მუდმივი მონიტორინგი მიღწეულზე;
- ✚ მართონ საკუთარი კარიერის განვითარება იმგვარად, რომ დაიცვან ბალანსი პირადსა და საზოგადოებრივს შორის.

საქართველოში სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და დაგეგმვის საკითხები ახალია და მისი სისტემური გამოკვლევა ჯერ არ მომხდარა. თავად პრობლემა საქართველოს მთავრობამ ერთ-ერთ პრიორიტეტული მიმართულებად

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

აღიარა, ამდენად, ამ საკითხების შესწავლა და მის განხორციელებაზე, დაკვირვებაზე მასალების მოპოვება, ანალიზი და შესაბამისი თეორიის შექმნა სიახლე იქნება განათლების მენეჯმენტის სფეროში.

პროფესიული განათლების სისტემის ძირითად პროდუქტს წარმოადგენს საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებული, რომლის მომზადებაზეც იხარჯება მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი. პროფესიულ განათლებაზე გაწეული საბიუჯეტო ხარჯების ეფექტიანობა იზრდება შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის ზრდასთან ერთად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ის განისაზღვრება, როგორც კურსდამთავრებულთა დასაქმების ზოგადი მაჩვენებლით, ასევე მათი მიღებული სპეციალობით მუშაობის მაჩვენებლით.

კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი მაჩვენებელი შესაძლებელია დაკავშირებული იყოს შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდების დისბალანსთან, სპეციალისტების მომზადების დაბალ ხარისხთან, კურსდამთავრებულთა კომპეტენციების შეუსაბამობა დამსაქმებლის მოთხოვნებთან და სხვა სოციალურ ფაქტორთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით იზრდება კურსდამთავრებულთა დასაქმების შესახებ ოპერატიული, სანდო და სრული მონაცემების აქტუალობა, მათ შორის სპეციალობების მიხედვით, რაც მოგვცემს ობიექტური და მრავალმხრივი ანალიზის გაკეთების, კადრებზე მოთხოვნის, მოთხოვნადი სპეციალობების და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების პროგნოზირების, საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირების საშუალებას.

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის პროცესს კურირებას გაუწევს „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების ხელშეწყობის ჯგუფი“. (შემდეგში - ხელშეწყობის ჯგუფი).

2. პროფესიული სტუდენტების დასაქმებისა და კარიერული ზრდის მონიტორინგის მიზანი

კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის მეთოდოლოგია მოწოდებულია ოთხი ძირითადი ფუნქციის რეალიზაციისათვის:

ბათუმის სამედიცინო აკადემია

გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

1. განახორციელოს იმ მონაცემების შეგროვება, რომლებიც საკმარისად დაახასიათებენ საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულთა დასაქმებას, მათ შორის სპეციალობების მიხედვით.
2. მისცეს საშუალება შეფასდეს კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცესის ეფექტურობა, იმ ინდიკატორების შემუშავებისა და გამოთვლის მეშვეობით, რომლებიც აფასებენ შედეგიანობას და ოპერატიულობას.
3. წარმოადგენდეს საფუძველს საკადრო საჭიროებების გამოსავლენად და პროგნოზირებისათვის, მოთხოვნადი სპეციალობების და კურსდამთავრებულთა კომპეტენციების ჩამონათვალის ფორმირებისათვის, კურსდამთავრებულთა მომზადების ხარისხის გაზრდის მიზნით საგანმანათლებლო პროგრამების კორექტირებისათვის.
4. დასაქმების ეფექტურობის შეფასების საფუძველზე, მისცეს გადაწყვეტილებების შემუშავების შესაძლებლობა.

საგანმანათლებლო დაწესებულების მონიტორინგის მოდელი
ითვალისწინებს შემდეგი მონაწილეების ჩართულობას: დამსაქმებელი დაწესებულებები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები;

აკადემიაში პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის პროცესს კურიერებას გაუწევს „სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების და კარიერული განვითარების ხელშეწყობის ჯგუფი“ (შემდგომში - ხელშეწყობის ჯგუფი). ჯგუფს ხელმძღვანელობს კოორდინატორი.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული განვითარების კოორდინატორის ევალუა:

- ✚ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შეუქმნას დამატებითი შესაძლებლობები დასაქმებისა და კარიერული განვითარების კუთხით, დამსაქმებლებს გაუმარტივოს სასურველი კვალიფიკაციის სპეციალისტების მოძიება და შერჩევა;
- ✚ საგანმანათლებლო დაწესებულებას დაეხმაროს პროგრამების განვითარებაში და მათ მიახლოებაში შრომის ბაზრის მოთხოვნებთან.

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

3. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული
ხელშეწყობის ჯგუფის კუთხით საქმიანობის ძირითადი
მიმართულებები

3.1 არსებულ და პოტენციურ დამსაქმებლებთან თანამშრომლობა

კოორდინატორის, „ხელშეწყობი ჯგუფის“ სამუშაო პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, რეგიონის საწარმოებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობას. ბევრი მათგანი შესაძლოა გახდეს სასწავლებლის მუდმივი პარტნიორი, ვინაიდან მათ შეუძლიათ საგანმანათლებლო დაწესებულებას შესთავაზონ საწარმოო პრაქტიკისა და სტაჟირებების გავლის, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დროებითი და კურსდამთავრებულთა მუდმივი დასაქმების შესაძლებლობა.

კოორდინატორის, ხელშეწყობი ჯგუფის დამსაქმებელ-ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებებია:

- ✚ ურთიერთთანამშრომლობის, პრაქტიკის ბაზების, სტუდენტთა მიზნობრივი მომზადების შესახებ ხელშეკრულების გაფორმება;
- ✚ დამსაქმებლების მონაწილეობა სტუდენტთა თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებაში (ლექციები, სემინარები, ჯგუფური მუშაობები, მასტერკლასები, პროექტების ხელმძღვანელობა);
- ✚ სტუდენტების მიერ პროფილურ ორგანიზაციებში სხვადასხვა სახის პრაქტიკის და სტაჟირების გავლა;
- ✚ დამსაქმებლების ვაკანსიების მონაცემთა ბაზის ფორმირება;
- ✚ ერთობლივი ღონისძიებების ჩატარება სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის: კომპანიების პრეზენტაციები, დამსაქმებლებთან შეხვედრები, საინფორმაციო ტურები ორგანიზაციებსა და საწარმოებში, კარიერის დღეები, დასაქმების ფორუმები და ა.შ;
- ✚ კონფერენციების, სიმპოზიუმების, ვორქშოფების დაგეგმვა და ჩატარება დამსაქმებლების მონაწილეობით;
- ✚ სახელობითი სტიპენდიების დაწესება დამსაქმებლების მიერ;

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

- ✚ სტუდენტებისათვის სხვადასხვა სახის კონკურსების ორგანიზება დამსაქმებელთა მიერ.
- ✚ სწავლის პარალელურად წარმატებული სტუდენტის დასაქმების უზრუნველყოფის საჭიროების შემთხვევაში, აკადემიამ და დამსაქმებელმა დაწესებულებამ, ურთიერთშეთანხმებით, უნდა შეიმუშაონ მოქნილი სასწავლო-სამუშაო გრაფიკი

საგანმანათლებლო დაწესებულებასა და დამსაქმებელ ორგანიზაციას შორის ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულების გაფორმება, რომელიც იქნება წარმოადგენს ორგანიზაციულ სამართლებრივი საფუძველს პარტნიორული ურთიერთობების ფორმირებისა და განვითარებისათვის.

ხელშეკრულება შესაძლებელია არეგულირებდეს ურთიერთობებს განათლების, მეცნიერების, წარმოების, ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზაციის საკითხებს, რომლებიც მიმართული იქნება ორგანიზაციის საკადრო საჭიროებების დაკმაყოფილებაზე, თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, ახალი ტექნოლოგიების, სამეცნიერო მიღწევების, პროექტების დანერგვაზე.

დამსაქმებლების თანამშრომლობისათვის მოზიდვის მიზნით, კურატორი მზრუნველთა ჯგუფი, აქტიურად უნდა მონაწილეობდეს საქალაქო და რეგიონალურ ღონისძიებებში, რომლებიც უკავშირდება შრომის ბაზარს. როგორც წესი, ესენია დასაქმების ფორუმები, კონფერენციები და სხვა.

კოორდინატორს, დირექტორთან შეთანხმებით შეუძლია მიმართოს წერილობით რეგიონის ორგანიზაციებსა და საწარმოებს ურთიერთთანამშრომლობის შეთავაზებით, მოწვევით კურსდამთავრებულთა სხვადასხვა პროფილურ ღონისძიებებში მონაწილეობის მისაღებად.

ხელშეწყობის ჯგუფმა უნდა მოამზადოს საინფორმაციო წერილები პრაქტიკაზე და დასაქმებაზე განაცხადების შეგროვების მიზნით და ა.შ.

3.2. თანამშრომლობა აღმასრულებელი

ხელისუფლების/თვითმმართველობის ორგანოებთან, მათ შორის
შრომისა და დასაქმების დეპარტამენტებთან, საზოგადოებრივ
ორგანიზაციებთან, დამსაქმებელთა გაერთიანებებთან, ...

ბათუმის სამედიცინო აკადემია

გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და განვითარების კუთხით რეკომენდირებულია განხორციელდეს შემდეგი მიმართულებებით:

- ✚ დამსაქმებლები და პოტენციური დამსაქმებელი დაწესებულებების, ორგანიზაციების მიერ მოწყობილ დასაქმების ფორუმებში და დასაქმებაზე მიმართულ სხვა ღონისძიებებში მონაწილეობა;
- ✚ ინფორმაციის ურთიერთგაცვლა რეგიონის საწარმოებსა და ორგანიზაციებში არსებული ვაკანსიების, შრომის ბაზარზე არსებული მდგომარეობის შესახებ, კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების, სტაჟირების პროგრამების და სხვა შესახებ;
- ✚ დასაქმებისა და კარიერული ზრდის საკითხებზე ერთობლივი კონფერენციების, მრგვალი მაგიდების, ვორქშოფების ორგანიზება;
- ✚ სპეციალიზირებულ გამოფენებში მონაწილეობა და სხვა.

3.3. მეთოდური და კვლევითი მუშაობა

საგანმანათლებლო პოლიტიკა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს, არა სუბიექტურ მოსაზრებებს, არამედ კვლევის შედეგებს, რომლებიც საგანმანათლებლო დაწესებულების მენეჯმენტს ეხმარება ბაზრის კონიუნქტურის, მომხმარებელთა პრეფერენციების, რეგიონის შრომის ბაზარზე კურსდამთავრებულებზე მოთხოვნის სპეციფიკისა და დინამიკის შესახებ და ა.შ. სწორედ ეს განაპირობებს თანამედროვე საგანმანათლებლო დაწესებულებაში მეთოდური და კვლევითი საქმიანობის განხორციელების აუცილებლობას.

საგანმანათლებლო დაწესებულებამ საკუთარი კვლევითი საქმიანობა უნდა განახორციელოს შემდეგი მიმართულებებით:

- ✚ **სტუდენტების კვლევა:** პროფორიენტაციასთან დაკავშირებული საკითხები, კმაყოფილება გარემოთი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, სასწავლო პროცესის ორგანიზებით, პროფესიული მასწავლებლების კვალიფიკაციით, სწავლების ხარისხით და სხვა.
- ✚ **კურსდამთავრებულთა კვლევა:** კმაყოფილება მიღებული განათლებით და მიმდინარე სამუშაოთი, დასაქმების პერსპექტივის შეფასება, პროფესიული მომზადების დონე, კურსდამთავრებულთა შემდგომი კარიერული განვითარების მონიტორინგი, დასაქმებისას წარმოქმნილი

ბათუმის სამედიცინო აკადემია

გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

სირთულეების გამოვლენა და ა.შ. გამოკითხვა უნდა ხორციელდებოდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც სპეციალობებისა და კვალიფიკაციების მიხედვით.

- ✚ **დამსაქმებელთა კვლევა:** საწარმოებისა და ორგანიზაციების კადრებზე მოთხოვნის და სპეციალისტების მოზიდვების საშუალებების შესწავლა, დამსაქმებლების მხრიდან სამუშაოზე აყვანისას ახალგაზრდა სპეციალისტების მიმართ წაყენებული ზოგადი და სპეციფიკური მოთხოვნების შესწავლა, ახალგაზრდა სპეციალისტების პროფესიული მომზადების შეფასება დამსაქმებლების მიერ, საგანმანათლებლო დაწესებულებისა და დამსაქმებლების ურთიერთანამშრომლობის მიმართულებების ანალიზი.

დამსაქმებელთა გამოკითხვა უნდა ხორციელდებოდეს მინიმუმ წელიწადში ერთხელ. უნდა მოიცავდეს შესაბამისი პროფილის დაწესებულებას.

ასევე შესაძლებელია კვლევების წარმოება შემდეგი მიმართულებებით:

- ✚ სპეციალისტებზე მოთხოვნა შრომის ბაზარზე სპეციალობების მიხედვით;
- ✚ პოტენციური დამსაქმებლების წრის განსაზღვრა სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის;
- ✚ საგანმანათლებლო დაწესებულებაში პრაქტიკის ორგანიზების ხარისხის კვლევა;
- ✚ სტუდენტთა კარიერული პრეფერენციების განსაზღვრა, კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის ანალიზი;
- ✚ სოციალურ-ფსიქოლოგიური თვისებები და კომპეტენციები, რომლებიც აუცილებელია ახალგაზრდა სპეციალისტისათვის საქმიანი და შრომითი ურთიერთობების ასაგებად.

კვლევის შედეგები საგანმანათლებლო დაწესებულებას აძლევს დასაბუთებული მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობას.

კვლევის მეთოდოლოგია შესაძლებელია ეფუძნებოდეს შემდეგ მეთოდებს:

- ✓ ანკეტირება,
- ✓ სატელეფონო გამოკითხვა,
- ✓ ინტერნეტ-გამოკითხვა.

სტუდენტთა გამოკითხვა რეკომენდირებულია ჩატარდეს ცენტრალიზებული ანკეტირების სახით სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. კურსდამთავრებულთა

ბათუმის სამედიცინო აკადემია

გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

გამოკითხვა მოსახერხებელია სატელეფონო ან ინტერნეტ-გამოკითხვის ფორმით, ხოლო დამსაქმებლეთა კვლევა მიზანშეწონილია დასაქმების ფორუმებზე, პრეზენტაციებსა და სხვა ღონისძიებებზე, ასევე შესაძლებელია ელექტრონული გამოკითხვაც წინასწარი შეთანხმების საფუძველზე.

საკითხების ირგვლივ შესაძლებელია ჩატარდეს ჩაღრმავებული ინტერვიუ, რომლის შესახებაც დამსაქმებლეთან წინასწარ უნდა მოხდეს შეთანხმება. კვლევის ჰიპოთეზის ფორმირებისათვის შესაძლებელია გამოყენებული იქნას ფოკუს-ჯგუფებში (5-7 ადამიანი) კვლევა, რაც დაგვეხმარება ანკეტისა და ინტერვიუს სცენარის ფორმირებაში.

კვლევების საფუძველზე უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც დაეხმარება საგანმანათლებლო დაწესებულებას სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და განვითარების სრულყოფაში, სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან ადაპტაციაზე მიმართული ღონისძიებების დაგეგმვაში, საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებაში.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად ხელშეწყობის ჯგუფის საქმიანობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა შესაბამისი მეთოდური მასალების მომზადება აქტუალურ საკითხებზე: პროფორიენტაცია, ადაპტაცია შრომის ბაზარზე, წარმატებული დასაქმება, კარიერის მართვა, გასაუბრების გავლა, სამოტივაცია წერილისა და რეზიუმეს შედგენა და ა.შ ასეთი მასალები შესაძლებელია იყოს მეთოდური მითითებები, საინფორმაციო ბუკლეტები და ტრიპლეტები და სხვა.

ასეთები შეიძლება იყოს: „რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენა“; „სამუშაოს ძიება. კონკურენტუნარიანობის ამაღლება შრომის ბაზარზე“, „დასაქმების იურიდიული ასპექტები“, „წარმატებული კარიერის მართვა“ და სხვა.

3.4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და განვითარების კოორდინატორის, ხელშეწყობის ჯგუფის მუშაობას, საფუძველად უნდა ედოს ინდივიდუალური მიდგომა დამამთავრებელი კურსის თითოეული სტუდენტის მიმართ მისი შემდგომი დასაქმების კუთხით.

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

სამუშაოები უნდა მოიცავდეს შემდეგ მიმართულებებს:

- ✚ კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის ფორმირება, სამუშაოს ძიების პროცესში მყოფი კურსდამთავრებულთა ბაზის წარმოება ანკეტების შევსების საფუძველზე, ელექტრონული ბაზების მუდმივი განახლება და სხვა;
- ✚ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის აქტიური ვაკანსიების, სტაჟირების სასტიპენდიო, საგრანტო, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- ✚ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების ხელშეწყობაზე მიმართული სხვადასხვა ღონისძიებების ორგანიზება;
- ✚ ყველა სახის პრაქტიკისა და სტაჟირებების პროგრამების ორგანიზება;
- ✚ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გაცნობა დამსაქმებელთა ვაკანსიების ბაზებთან სპეციალობების მიხედვით;
- ✚ დამსაქმებლების მოწვევა აკადემიაში სასწავლო პროცესის გასაცნობად; სტუდენტთა ვიზიტები შესაბამის დაწესებულებებში მათი მუშაობის სპეციფიკის გასაცნობად. ახალგაზრდა სპეციალისტებისადმი წაყენებული ძირითადი მოთხოვნების უკეთ გაცნობის მიზნით;
- ✚ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულთათვის დახმარების გაწევა რეზიუმესა და სამოტივაციო წერილის შედგენაში, ფსიქოლოგიური მხარდაჭერა.

დასაქმების შემდგომი მონიტორინგისათვის ხდება მონაცემების გაანალიზება და დაინტერესებული სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემა.

სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდისა და
განვითარების ხელშეწყობის ჯგუფი

უნდა იღებდეს შემდეგი ტიპის ინფორმაციას:

- ✚ ინფორმაცია დასაქმებული კურსდამთავრებულების შესახებ;
- ✚ ინფორმაცია კურსდამთავრებულების შესახებ, რომლებმაც განაგრძეს სწავლა შემდეგ საფეხურზე - თავად კურსდამთავრებულებისაგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან;
- ✚ ინფორმაცია კურსდამთავრებულების შესახებ, რომლებიც გაწვეულ იქნენ სავალდებულო სამხედრო სამსახურში - თავად კურსდამთავრებულებისაგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან, სამხედრო კომისარიატიდან;

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

✚ ინფორმაცია კურსდამთავრებულების შესახებ, რომლებიც აღრიცხვაზე არიან როგორც უმუშევრები - თავად კურსდამთავრებულებისაგან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებიდან;

✚ ინფორმაცია არსებული ვაკანსიების შესახებ - დამსაქმებელი ორგანიზაციებისაგან.

4. კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგის
მაჩვენებლებისა და
ინდიკატორების ფორმირება

კურსდამთავრებულთა დასაქმების შეფასებისათვის სასურველია ანალიზი გაკეთდეს არაერთი მაჩვენებლის მიხედვით, რომლებიც წარმოდგენილია ცხრილში 1.

ცხრილი 1.

კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები და
ინდიკატორები

ინდიკატორის და მაჩვენებლის დასახელება

1. დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფარდება ფაქტიურ გამოშვებასთან
2. სპეციალობით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფარდება ფაქტიურ გამოშვებასთან
3. სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვეულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფარდება ფაქტიურ გამოშვებასთან
4. სწავლების შემდეგ საფეხურზე ჩარიცხულ კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფარდება ფაქტიურ გამოშვებასთან
5. დაუსაქმებელ კურსდამთავრებულთა რაოდენობის შეფარდება ფაქტიურ გამოშვებასთან

ბათუმის სამედიცინო აკადემია
გზამკვლევი პროფესიული პროგრამების სტუდენტთა და
კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და კარიერული ზრდისათვის

6. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კარიერული ზრდის უზრუნველსაყოფად „ხელშეწყობის ჯგუფის“ მონაცემები დასაქმებულ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობის შესახებ.
7. კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს ხელშეწყობის ჯგუფის ხელშეწყობით პროფესიული გადამზადება/სტაჟირება/ტრენინგები.
8. ხელშეწყობის ჯგუფის ხელშეწყობით დროებით სამუშაოებზე დასაქმებულ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა.

საანგარიშო წელს დასაქმებულ კურსდამთავრებულთა
საერთო რაოდენობა.

1. საანგარიშო წელს სამსახურიდან გათავისუფლებულ კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა.
2. ხელშეწყობის ჯგუფის ორგანიზებით/მხარდაჭერით კონკრეტული უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე და ახალგაზრდა სპეციალისტების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან ადაპტაციაზე მიმართული სპეციალიზირებული კურსების/პროგრამების/ტრენინგების/მასტერ კლასების/ვორქშოფების/საჯარო ლექციების საერთო რაოდენობა.
3. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა საერთო რაოდენობა, რომლებმაც გაიარეს/მოისმინეს ზემოაღნიშნული სპეციალიზირებული კურსები/პროგრამები/ტრენინგები/მასტერ-კლასები/ვორქშოფები/საჯარო ლექციები.
4. იმ სტუდენტთა რაოდენობა და წილი საერთო კონტინგენტში, რომლებიც დასაქმებული იყვნენ სწავლის პარალელურად დროებით ან მუდმივ სამუშაოზე (სწავლების საფეხურებისა და სპეციალობების მიხედვით).
5. იმ სტუდენტთა რაოდენობა და წილი საერთო კონტინგენტში, რომლებიც სწავლის პარალელურად გაიარეს სტაჟირება პროფილურ დაწესებულებებში (სწავლების საფეხურებისა და სპეციალობების მიხედვით).
6. დამსაქმებელთა მიერ კურსდამთავრებულთა პროფესიული მომზადების შეფასება.